




გამოდის 1993 წლის მარტიდან  
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:

[WWW.opentext.ge/menora](http://WWW.opentext.ge/menora)



ებრაული გაზეთი  
საქართველოში

MENORA  
JEWISH NEWSPAPER  
IN GEORGIA

"מִנּוֹרָה"  
עיתון יהודִי  
בגאורגיה

"МЕНОРА"  
ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА  
В ГРУЗИИ

აგვისტო  
(აბი)  
1-30  
№15-16 (280)  
(5768 ხელი)  
2008 წლი  
ფასი 50 ლირა

מִנּוֹרָה

საქართველოს ებრაული თემი, როგორც შემადგენელი  
ნაწილი ქართულ მიწაზე დამკვირებული სხვადასხვა კონ-  
ფესიის, ისტორიის მქონე მოსახლეობისა, შემჩრენებულია იმ  
სისხლისღრმით, ნერევით, რომელიც ქართველ ხალხს მოაწვანე  
თავს და ღრმა საძძიმარს უცხადებს რუსეთ-საქართველოს  
სამაძულო თმით დაღუპული ყოველი ჯარისკაცის, კერატული  
თავდასხმებისას მოკლული ყოველი სამოქალაქო ბირის თჯან-  
ებს.

რეაქციაში ჩეკავენ, მოდის არა ერთი წერილი: საქართ-  
ველოს დღი თანამდებობას უცხადებს ისრაელში ჩებატრილე-  
ბული, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველი  
ებრაულობა. ისინი მთხარილებენ საბორტესტო აქციებით.

საქართველოს ებრაულობა ევერება ღმერთს, რომ ამ  
მრავალჭირნანულ მიწაზე მაღე დაისაღებულოს შევდობაშ. ამინ!



დღეს ეპრაული წელთაღრიცხვის 5768-ე წლის 9 აბა. ეპრაული ერის ისტორიაში გლოვის დღე — ნაბუქოდონოსორშა სწორედ ამ დღეს დაანგრია იერუსალიმის ტაძარი. 400 წლის შემდეგ რომაელმა მხედარმთავარმა ტიტუსმა იგივე ქმნა ისევ 9 აბი დღეს — დაანგრია მეორე ტაძარი.


გრეგორიანული წელთაღრიცხვით, დღეს საქართველომდი 2008 წლის 10 აგვისტო დგას. ეს დღე ჯერ არ დამთავრებულა, ნაშუადღევია, მაგრამ ამ დღემ უკვე დაიმკიდრა ადგილი საქართველოს ისტორიაში — უმძიმესი დღე საქართველოს უახლოესი ისტორიისა — დღეს შეეცადნენ დაემსხვრიათ სახელმწიფოს გამოილიანების რჩების ეყდელი.

ტაძრების დაცემის ამ მძიმე დღეს ქართველი ეპრაულობა მარხულობს და სასაფლაოზე იყრის თავს. ადამიანებს, რომელებსაც თვეობით ვერ ახულობ, ნახავ აქ — თბილისის ეპრაულ სასაფლაოზე — მოდიან თავთავიანთი მძმბლების, შვილების, (!) ძმების, დების საფლავებთან, მოდიან მეგობრების საფლავებთან — ზოგად ეროვნულს, საზოგადოს პირადულს უკავშირებენ, საქვეყნის პირადულთან აერთიანებენ. ამით ხანგრძლივდება ხსოვნა, ხსოვნა კი აძლიერებს, აცხოველებს რწმენას. დედაქმიდისაფლავის მონახულების შემდეგ, მეც გიგლას საფლავთან მივედი, ხუბაშვილის — ამ ჩინებული პოეტის, დრამატურგის საფლავთან. ხახამ დავითს გერმონ (გიგლა) ბენ მიხაელის და მისი ძის — დავით ბენ გერმონის სული მოვასხენიებინე. რა ბედნიერია გიგლა, საქართველოს ამ მძიმე დღეს, რჩების ეყდლის ხელყოფას რომ ვერ შეესწრო! მე ხომ ვიცი, ამ დღემდე რომც მოსულიყო, როგორი ლამე ექნებოდა!

დღეს ქართველი დედებიცხინვალთან, ქვეყნის გამოთლიანებისათვის ბრძოლაში დაცემულ შვილებს გლოვობენ.

მძიმეა გლოვა ბრძოლაში დაცემულ შვილისა, მაგრამ არანაკლებ მძიმეა იმედის გარისა.

# ყუმბარა და ხელვა



დაცვალება — მაში, ასე ნაადრევად რილასთვის დახუჭა თვალები შენმა ძუძუმწოვარმა, ტანჯვავაებით გამოზრდილმა — დღეს საქართველოს იმედი დაუბომბეს — სახელმწიფოებრივი გაერთიანების იმედი. ორთავიანი არნივი თავს იმისთვის დაგვტრალებდა, რომ ეს იმედი ნამსხვრევებად ექცა, მაგრამ არნივს ფრთები შეეტრუსა, იმედი კი კვლავაც ცოცხალია.

იბრძვისხალის, სისხლსდევის, რათა შეინარჩუნოს დევის მიერ მისთვის ბოძებული მინა-წყალი.

აღარსად აღარ არის მშვიდი ნაესაყუდარი!

განსაუთრებით უჭირთ ქველ, დიდი ისტორიის მქონე ერებს — ედავებიან სამშობლოს.

იქ — „ჰამასი“, ახმადინევა-

დი, „ჰაზბალა“. აქ — ორთავიანი არნივი ისე გეძგერება თვალების ამოსაკორტნად, თითქოს დევის მიერ მისთვის ბოძებულ მინას შენ ჯიჯგნიდე.

თბილისის ეპრაულ სასაფლაოზე კი მოდიან და მოდიან ადამიანები, თავიანთი მიცვალებულების სულის მოხსენიება ყოველი მათგანის ნეინდა მოვალეობა. ხალხი ბევრია, მაგრამ ცხადია, იმდენი არა, რამდენიც თუნდაც ამ სამიოდე წლის ნინათ იყო, მოიანობამ დააფრთხო? გორის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის, თბილისის ზღვის დაბომბვამ? არა, უბრალოდ, საქართველოში თანდათან მცირდება ეპრაელობის რიცხვი. 10-15 წლის შემდეგ ალბათ, საქართველოში

ეპრაელი სანთლით საძებარი იქნება, მხოლოდ მეხსიერებას შემორჩება: საქართველო იყო ის სავანე, რომელშიც ეპრაელობა ნორმალურ ცხოვერებას ეწეოდა. მაგრამ რამდენ თაობას გაჰყება ეს ხსოვნა? ორს? სამს?

სასაფლაოდან მობრუნებული ვხედავ პარლამენტის წინ როგორ იყრიან თავს უსახლკაროდ დარჩენილი გორელები, სამშობლო ეზო-კარით, საკუთარი ჭერით იწყება. ამ ადამიანებს გუშინ ყველაფერი დაუნგრია ორთავიანმა არნივმა.

საოცარია: იმ თვითმფრინავის ირგვლივ, რომელიც ჩიმი ქალაქის — სენაკის თავზე ბოძებს ყრიდა, ორი ფრინველი დაფრინავდა. რატომ, რისთვის დასტრიალებდნენ თავს ეს ფრინველი ამ

თვითმფრინავს? იქნებ, ენადათ შეეძახნათ: ნუ ჩამოაგდებ, ნუ დახოცავ, გაუცალე ცოდვას! კი, ასე იყო — ხმები იმინდა — მოავე ფრინველთა ბრძები, მაგრამ ბომბები ცვიოდა, ბომბები ქვევით, ჩიმი ქუჩებისაკენ, ესოდენ ნაცნობი, ახლობელი სახლებისაკენ, ადამიანებისაკენ ეშვებიან და თანდათან ფრინველებზე უფრო პატარად მოსჩანან.

გაუძლებს კი ეს პატარა ქვეყანა ამდენ ოხვრა-ვაებას? ეყოფა კი საიმისო ძალა, რომ კვლავაც შესძახოს:

— აქა ვარ და მაგრად ვდგევარ!

მაგრამ... კაცი, რომელსაც ჭირ-ვარამი არ მისდგომია, მოუზელელ ცომსა ჰგავს. მოუზელელი ცომი კი...

უნდა გაუძლოს, რათა თავის დროზე წინაპართან მისულმა თქვას:

— აი, მეც ვსტუმრობდი წუთისოფელს, ჭირ-ვარამი, ჯაფა ბევრი ვნახე, მაინც სიმღერით გავეცალე მაგ დაუნდობელ მზე-თუნახავს.

არც ეპრაელი მოშლიან 9 აბის — იერუსალიმის პირველი და მეორე ტაძრის დაქცევის დღეს წინაპართა საფლავების მონახულებას.

9 აბის — გლოვის დღეს ბევრი ადამიანი მივიდა ცნობილი ქართველი ეპრაელი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის — ბაზრი ბატარკაციშვილის საფლავთან, რომელიც მისსავე რეზიდენციაში — „არკადიაში“ მდებარეობს. აქ მოდიოდნენ რაბინები, ბ. ჰატარკაციშვილის მეგობრები, ნაცნობა-ამხანაგები, ეპრაული თევის წევრები.

საქართველოს მინაზე კვლავაც აგრესორი დაბიჯებს, რამდენიმე ქალაქი კვლავაც მტრის ხელშია.

მაგრამ არასოდეს არაფერი არ არის დაკარგული — 2600 წლის წინათ დანგრეული ტაძარი თანამედროვე ისრაელის სახით აღსდგა.

მთავარია სული იყოს უტეხი და გვასოვდეს:

ხსოვნა ათასგზის ძლიერია, ვიდრე ყუმბარა!

## საგამულო ომი საჭართვაშორი



# სამართლო ომი საქართველოში



აგვისტო (აბი), №15-16, 2008 წ.

**„პოინტის“ დიდებული გადაწყვეტილება —  
იცხაკ ავერიშვილი თბილისის ეპრაულ სახლს ხსნის**



15 აგვისტოს თბილისის  
ეპრაულ სათემო სახლს ეწვია  
„კონინთის“ კანტრი დირექტო-  
რი, სათავო ოფისის რამდენიმე  
რეგიონის ხელმძღვანელი იცხაკ  
ავერბუხი. მას კარგად იცნობენ  
ეპრაულ სამყაროში, აქვს დსთ-  
ის ქვეყნებში მუშაობის დიდი  
გამოცდილება. იცხაკ ავერბუხ-  
მა თავადვე წარუდგინა თავი  
ეპრაული სახლის დირექტორთა  
საბჭოს:

— მე გახლავართ იცხაკ  
ავერბუხი. ამას წინათ „ჯოინ-  
თში“ ბევრი ცვლილება მოხდა. მე  
დაეინიშვე რამდენიმე რეგიონის  
ხელმძღვანელად, მათ შორის საა  
კავკასიის რეგიონი. ჩემთვის  
ცონტრილია ის მიზეზები, რისთ-  
ვისაც ებრაული სახლი დაიხურა.  
ეს იყო გამოწვეული შექმნილი  
გარემოებებით და ეს გარემოება  
ამართლებდა გადაწყვეტილე-  
ბას. მე ჩემს თავზე ვიღებ ვალ-  
დებულებას და ვაცხადებ, რომ

ებრაულ სახლს ვხსნით  
(ტაში!) ნუ იფიქრებთ,  
რომ სახლის გახსნა რაიმე  
გარემოებამ გვაიძულა,  
ან ვინმებ შეგვაშინა, არა,  
ეს მიუღდებლია... უბრალ-  
ოდ, შეიცვალა სიტუაცია  
და ჩვენ სახლს ვხსნით.  
ახლა ძევთ საქმე გვაქვს,  
აქამდე არსებულ ვითარე-  
ბას დაემატა ის, რომ  
გორიდან ძევრი ებრაელია  
ლუკილი, ეს სახლი მათთ-  
ც უნდა გახდეს თბილი კერა.  
აც ასევე უნდა შეეძლოთ აქ

— სახლი დღეიდან იხსნება? ა. ვაკრძგუხი: სახლი დღეიდან ება, მხოლოდ საჭიროა იაფერი კარგად დავგეგზა. დავსხდებით და დავგეგზა. ჩვენ აქ ვლადიკავკაზიდან ვედით. იქ ცხნივალიდან დღეთ 13 ებრაელი, კადევ ი ებრაელი ნათესავებთან შეყო, იმ ცამეტს ჩვენ ვეხ-

**ଶାତାଶ୍ଵିଲୀ** (,କେସେଫ  
ଅତ୍ୟୁସ୍ " ଡିର୍ଗେଟ୍ରିମର୍କ): ଫୋଡ଼ି  
ଲୋନ୍ଗବା ମିଳିସାତଙ୍କିଲ୍, ରନ୍ଧମ ସାବଲ୍ଲୁ  
ଟ, ହିର୍ବନ୍ ଦାଲ୍ଲାନିନ ଦ୍ୱେରଣ ସାମା-  
ନ ଗ୍ରାଜ୍ଵେସ, ଗ୍ରାମିନ 50 ଆମିନିନ୍  
ଥିଲି ମନ୍ଦିରିତ୍ବାନ୍ତ ସାଫିଲ୍ଲୀ ଓ ଏବଂ  
ଦେଇନ୍ଦ୍ରିଯର୍ଗବି ପ୍ରକାଶିତ.  
ଗ୍ରାଜ୍ଵେସ  
ଉଚ୍ଚଦିଲ୍ଲେବା, ଗ୍ରାଜ୍ଵେସ ନିର୍ମାଣିଲ୍,  
ମନ୍ଦିରିତ୍ବାନ୍ତ ସାଫିଲ୍ଲୀ ଓ ଏବଂ  
ଦେଇନ୍ଦ୍ରିଯର୍ଗବି ପ୍ରକାଶିତ.

**გ. ბათიაშვილი** (გაზეთ „მენორას“ რედაქტორი): მინდა მივესალმო თქვენს ჩამოსკლა და დიდი მაღლობრივი გადაფიციადო ეპრაული სახლის გახსინდათვის ა. აღმინდეთთა ა. ა. წერა და მის

ეს გონივრული გადახყცებილება. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ის შექმნილი სიტუაციაში სახლის დახურვა გამართლებული გახდათ, არ შემიძლია არ აღინიშნო, რომ „ჯონითმა“ რომელიც საქართველოში ბევრი კარგი საქმე გააკეთა, სახლის დახურვით, დიდი შეცდომა დაუშვება და ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მანანდე შექმნილი იმიჯი საქართველოში.

ადამიანები ერთმანეთს  
ულოცავდნენ ებრაული სახლის  
გახსნის გადაწყვეტილებას.

# „Хოინი ჩვენს გა

როგორც „ხესედ ელიაზუს“ დირექტორმა რევაზ შათრევილმა გვაუწყა, 14 აგვისტოს ჯერ კიდევ ებრაული სახლის გახსნამდე ამოქმედდა სასადილო. „ხესედი“ ყოველდღიურად ცხელ სადილს გაუვზავნის (ჯერჯერობით!) 50 შეზღუდული შესაძლებლობების, ავადმყოფ ებრაელს, რომელსაც არ ძალუდს სახლიდან გამოსვლა.

„ჯოინთის“ მობილური ჯგუფი, რომელიც ამ მძიმე დღეებში საქართველოში ჩამოვიდა, ახლა დაავავებულია იმით, თუ როგორ შეუმსუბუქოს ყოფა დღოლვილ ებრაელობას. ამიტომ აორთან პრალება მიმდინარეობს.

„ჯოინთის“ კანტრი დირექტორი

— თბილისის გრაფული სახლის  
გახსნის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის,  
რომ მივეჭველოთ გორის და სხვა

რაიონების ებრაელობას.

18 აგვისტოს „ხესედ ელიაზუმ“ ფართოდ გაუღო კარი ადამიანებს.

„სესედ ელიაზუს“ დირექტორი რ. შათაშვილი ამბობს:

— დღეს სასადილოში ცხელი კერძი მიიღო 130 ადამიანმა, 25 ადა-  
მიანმა სასადილო დარბაზში ისადი-  
ლა, 10 ოჯახს კი შენ გაუუგზავნეთ  
სადილები. გორიდან ლტოლევილებმა  
დღეს მიიღეს დახმარების მთელი პაკ-

— სა ძეგლიოდა ამ ვაკეტში?

— სხვათასხვა სახის ნამლები,

სასურათო ამანათი დაკომპლექტებული გახლდათ შემდეგნაირად: 2 ლიტრი ზეთი, 3 კგ. შაქარი, 2 კგ. ნინიბურა, 2 კგ. ბრინჯი, კონსერვები (ორი სახის) შედედებული რძე, ჩაი, ჰერკულესი, 2 კგ. მაკარონი, 2 კგ. ფევილი, ყავა, წვენი, სოკო, საწოლის თეთრეულა 2 კომპლექტი, 2 პირსახო-  
სასურათო ამანათი დაკომპლექტებული გახლდათ შემდეგნაირად: 2 ლიტრი ზეთი, 3 კგ. შაქარი, 2 კგ. ნინიბურა, 2 კგ. ბრინჯი, კონსერვები (ორი სახის) შედედებული რძე, ჩაი, ჰერკულესი, 2 კგ. მაკარონი, 2 კგ. ფევილი, ყავა, წვენი, სოკო, საწოლის თეთრეულა 2 კომპლექტი, 2 პირსახო-

ცი, ჰიგენური ნაკრები.  
— ეს ყველაფერი ოჯახზე გაიცა?  
— არა, ეს ყველაფერი გაიცა თითო  
სულ ღტოლვილზე.





